



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბანარა

ბანარა, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, ალაზნის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 13 კმ, აუზის ფართ. 42,0 კმ<sup>2</sup>.

სათავე აქვს პანკისის ქედის აღმ. კალთაზე ტბათანის მთის ძირას. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნა – ზაფხულ-შემოდგომაზე, წყალმცირობა - ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 0,5 მ<sup>3</sup>/წმ.

ბ-ის ხეობაში არის ბანარის სახელმწიფო ნაკრძალი.

**ი. აფხაზავა**

---